ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 75
17/08/2021

75-01-4-202108171326

არჩევნების პერიოდში საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეთა სახელმძღვანელო წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 48-ე მუხლის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52–ე და 53-ე მუხლების ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27^3 მუხლის პირველი პუნქტის, ,,სახელმწიფო რწმუნებულის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №308 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული სახელმწიფო რწმუნებულის დებულების I თავის მე–5 მუხლის ,,რ“ პუნქტის, მე–6 მუხლის პუნქტის, შესაბამისად და ,,მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2021 წლის 2 აგვისტოს №02/08/01 განკარგულების გათვალისწინებით:

1. დამტკიცდეს თანდართული არჩევნების პერიოდში საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეთა სახელმძღვანელო წესი.

2. 2021 წლის 2 ოქტომბერს დანიშნული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეები (პოლიტიკური თანამდებობის პირი, პროფესიული საჯარო მოხელე,

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი) გაფრთხილებულ იქნენ არჩევნების/წინასაარჩევნო პერიოდში საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ თანახმად მოქმედი წესების, შეზღუდვებისა და პასუხისმგებლობის შესახებ.

3. დაევალოს სახელმწიფო რწმუნებულის აპარატს ამ განკარგულების ადმინისტრაციის ოფიციალურ ვებგვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნება.

4. განკარგულების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).

გიორგი გუგუჩია

სახელმწიფო რწუნებული

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია